ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი # 14

17.11. 2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

დღის წესრიგში წარმოდგენილია 4 ძირითადი საკითხი:

1. საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის კვოტებისა და გამსვლელი ქულების განსაზღვრა
2. სადისერტაციო თემის და ხელმძღვანელის დამტკიცება
3. ფაკულტეტზე არსებულ საგამომცემლო კომისიასთან დაკავშირებული საკითხები
4. ფაკულტეტზე დარგობრივი აკადემიური ეთიკური კომისიის შექმნასთან დაკავშირებით
5. პროფესორ გიორგი გოროშიძის მიერ საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხები:

ა) თავისუფალი არჩევითი საგნების დეპარტამენტის საკურატოროდ ცნობის შესაძლებლობის შესახებ; ბ) 2 წლით არჩეული ინსტიტუტის ხელმძღვანელების როტაციის დროული განხორციელების შესახებ; გ) დარგებისთვის სპეციფიკური საკონკურსო კრიტერიუმების შემუშავებისთვის სამუჯშაო ჯგუფის შექმნის საჭიროების შესახებ; დ) სააკრედიტაციოდ ახალი კურიკულუმის შედგენისთვის მუშაობის დაწყების შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

ნანა სუმბაძე, მზია წერეთელი, ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ლუიზა არუთინოვი, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, ვახტანგ ნადარეიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, მედეა დესპოტაშვილი, ლილი ხეჩუაშვილი,

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორები :

იზაბელა პეტრიაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ფსიქოლოგიის მიმართულება :

ალომე თოფურია

გვანცა სალია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 20 წევრი

განიხილეს:

1. **საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის კვოტების, საგანთა პრიორიტეტულობისა და გამსვლელი ქულების განსაზღვრა**

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების მიმართულებებზე მისაღები კონტინგენტისა კვოტების, საგანთა პრიორიტეტულობისა და გამსვლელი ქულების გასული წლის მონაცემები და სთხოვა მისი გადასინჯვა და დამტკიცება. აქვე მან მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა 20 სტუდენტით გაიზარდა. ცვლილების შესაბამისად, საჭირო გახდა არჩევითი საგნების მიხედვით არსებული ადგილების ქვოტის ხელახალი გადანაწილება. ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გოროშიძემ საბჭოს შესთავაზა მისეული გადანაწილების ვერსია, კერძოდ, : მათემატიკა - 50, ისტორია -15, ლიტერატურა - 20, ბიოლოგია - 40.
საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას:

მომხრე: 14
წინააღმდეგი:3
თავი შეიკავა: 3

პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა, შეახსენა საბჭოს წევრებს, ერთიან მისაღებ გამოცდებზე სავალდებულო და არჩევითი მეოთხე საგნის კოეფიციენტების განსაზღვრის შესახებ საკითხი და გააცნო 2015-16 სასწავლო წელს მიღებული გადანაწილების ვერსია. საბჭომ, ერთხმად მოიწონა არსებული ვერსია და უყარა კენჭი კოეფიციენტების შემდეგნაირ გადანაწილებას: ზოგადი უნარები - 4, ქართული ენა და ლიტერატურა - 3, უცხო ენა - 3, მათემატიკა - 2, ისტორია - 2, ლიტერატურა - 2, ბიოლოგია - 2
მომხრე: 15
წინააღმდეგი:0
თავი შეიკავა: 5

პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა, ასევე, სთხოვა საბჭოს წევრებს, სავალდებულო და არჩევითი მეოთხე საგნის პრიორიტეტების განსაზღვრა.
აზრი გამოთქვეს :
ასოცირებული პროფესორი გიორგი გოროშიძე: ვფიქრობ, პრიორიტეტების შარშანდელ გადანაწილებაში კორექტივებია შესატანი. სპეციალისტებმა ვიცით, რომ ფსიქოლოგიის მეცნიერება იმთავითვე ბევრს კომპონენტს ესესხება ბიოლოგიას, ხოლო მათემატიკა, როგორც , ასევე, მნიშვნელოვანი საგანი ჩვენი მეცნიერებისათვის, უნდა მოსდევდეს მას. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ პრიორიტეტები შემდეგნაირად უნდა გადალაგდეს : ბიოლოგია, მათემატიკა, ლიტერატურა და ისტორია.

საბჭომ კენჭი უყარა პრიორიტეტების განლაგების 2 ვერსიას: 2015-16 სასწავლო წელს მიღებულს - მათემატიკა, ისტორია, ლიტერატურა, ბიოლოგია
მომხრე: 0
წინააღმდეგი:15
თავი შეიკავა: 5
პროფესორ გიორგი გოროშიძის მიერ შემოთავაზებულს - ბიოლოგია, მათემატიკა, ლიტერატურა და ისტორია.
მომხრე: 11
წინააღმდეგი:0
თავი შეიკავა: 9

მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წინაშე ფსიქოლოგიის მიმართულების საბაკალავრო პროგრამაზე ჩამბარებელი აბიტურიენტებისათვის აკადემიურ პროგრამაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დადგენის საკითხი დასვა.
აზრი გამოთქვეს :
პროფესორი ლალი სურმანიძე: ვფიქრობ, 2015-16 სასწავლო წელს მიღებული გადანაწილება სავსებით მისაღები უნდა იყოს კოლეგებისათვის, თუმც, მიმაჩნია, რომ უცხოური ენის გამოცდის ჩვენ მიერ შარშან დადგენილი მინიმალური ბარიერი ნამდვილად გასაზრდელია. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს პროფესიაში არსებული უცხოენოვანი ლიტერატურის ზრდის ტენდენციას. შესაბამისად, ვშუამდგომლობ საბჭოს წინაშე, უცხოური ენის კომპეტენციის ზღვარი გადაიხედოს და ნაცვლად 35%+1 დადგინდეს 40%+1 . საბჭომ განიხილა შემოტანილი ინიციატივა და უყარა კენჭი შემდეგი ფორმულირებით :
ფსიქოლოგიის აკადემიურ პროგრამაზე მეოთხე არჩევითი საგნების - ბიოლოგია, მათემატიკა - გარდა, ყველა საგანის საგნობრივი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს 40%+1. ხოლო ბიოლოგიისა - 30%+1, მათემატიკის - 30%+1
მომხრე: 15
წინააღმდეგი:1
თავი შეიკავა: 4

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა იმავე საკითხთა ნუსხა განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამაზე ჩამბარებელ აპლიკანტთათვის და თან საბჭოს გააცნო 2016-17 სასწავლო წელს მიღებული გადაწყვეტილებები.
აზრი გამოთქვეს :
განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ქეთევან ჭკუასელი: ვფიქრობთ, რადგანაც დაწყებითი განათლების კურიკულუმის ძირეულ კომპონენტს წარმოადგენს ბუნებისმეტყველების მიმართულება, შევცვალოთ წინა წლის მეოთხე არჩევითი საგნების გადანაწილება და საბჭოს წინაშე ვშუამდგომლობ დაწყებითი განათლების მიმართულებით პრიორიტეტები განისაზღვროს შემდეგნაირად: ლიტერატურა, მათემატიკა, ბიოლოგია, ისტორია.
საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ გადანაწილების ვერსიას
მომხრე: 15
წინააღმდეგი:0
თავი შეიკავა: 5
პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს შესთავაზა, რომ დაწყებითი განათლების მიმართულებით მეოთხე საგნებზე არსებული წინა წლის ქვოტების გადანაწილება დარჩენილიყო უცვლელად, რადგან მისაღებ კონტინგენტში ამ ეტაპზე ცვლილება არ ფიქსირდებოდა, საბჭომ

ენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას კვოტების შემდეგნაირი გადანაწილებით: ლიტერატურა - 10, მათემატიკა - 5, ბიოლოგია - 5, ისტორია - 5.
მომხრე: 15
წინააღმდეგი:0
თავი შეიკავა: 5

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა საბჭოს წინაშე დაწყებითი განათლების მიმართულების საბაკალავრო პროგრამასა და მულტილინგვური განათლების პროგრამაზე ჩამბარებელი აბიტურიენტებისათვის აკადემიურ პროგრამებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დადგენის საკითხი დასვა.

აზრი გამოთქვეს :

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ქეთევან ჭკუასელი: ვფიქრობთ, ამჯერად გავიზიაროთ წინა წლის გამოცდილება უცხოური ენის გამოცდის გარდა ყველა საგანში და ორივე პროგრამაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადავანაწილოთ შემდეგნაირად : ქართული ენა-ლიტ. - 40%+1, ზოგადი უნარები - 40%+1, უცხოური ენა - 35%+1, მათემატიკა - 30%+1, ისტორია - 40%+1, ლიტერატურა - 40%+1, ბიოლოგია - 30%+1 .

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი: ვეთანხმები ქ-ნი ქეთევანი შემოთავაზებულ ხედვას, თუმცა, თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციების გათვალისწინებით, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ უცხოური ენის კოეფიციენტს გავუთანაბრებთ ფსიქოლოგიის მიმართულების კომპეტენციის ზღვარს და გავხდით - 40%+1-ს.

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ქეთევან ჭკუასელი: ვერ დავეთანხმები პროფესორ იზაბელა პეტრიაშვილის მოსაზრებას, რადგან დაწყებითი განათლების საფეხურზე უცხოური ენის ცოდნის მაღალი დონე არ არის კურიკულუმით საჭირო, მით უფრო გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი დეტალი - ქ-ნ იზაბელას აკადემიური მოღვაწეობის განმავლობაში არც ერთხელ არ წაუკითხავს ამ პროგრამის სტუდენტებთან სალექციო კურსი და, შესაბამისად, ნაკლებად უნდა იცნობდეს მის კურიკულუმსა და სტუდენტთა საჭიროებებს.

საბჭოს თავჯდომარე, პროფესორი თამარ გაგოშიძე - არსებული აზრთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით, საბჭო უფლებამოსილია უყაროს კენჭი ორივე შეთავაზებას.

საბჭომ კენჭი უყარა კომპეტენციათა ზღვრის გადანაწილების ორ შემოთავაზებულ ვერსიას :

ქართული ენა-ლიტ. - 40%+1, ზოგადი უნარები - 40%+1, უცხოური ენა - 35%+1, მათემატიკა - 30%+1, ისტორია - 40%+1, ლიტერატურა - 40%+1, ბიოლოგია - 30%+1 .
მომხრე: 12
წინააღმდეგი:1
თავი შეიკავა: 7

ქართული ენა-ლიტ. - 40%+1, ზოგადი უნარები - 40%+1, უცხოური ენა - 40%+1, მათემატიკა - 30%+1, ისტორია - 40%+1, ლიტერატურა - 40%+1, ბიოლოგია - 30%+1 .
მომხრე: 1
წინააღმდეგი:7
თავი შეიკავა: 12

2. სადისერტაციო თემის და ხელმძღვანელის დამტკიცება

საბჭოს თავჯდომარემ , პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ შემოსულია სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარის, ანასტასია ქიტიაშვილის განცხადება

რომელიც აყენებს საბჭოს წინაშე შუამდგომლობას დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2016-2017 სასწ.წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტის, ერეკლე მაღლაკელიძის (პ/ნ 01008056065), სამეცნიერო ხელმძღვანელი და პირობითი/სავარაუდო სადისერტაციო თემის სათაური - სადოქტორო თემის სახელწოდება – "მოქალაქეობის ცნების გაგების ფსიქოლოგიური ასპექტები."

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნანა სუმბაძე

საბჭომ კენჭი უყარა დასამტკიცებლად შემოტანილ წინადადებას

მომხრე: 13

წინააღმდეგი:0

თავი შეიკავა: 7

3. ფაკულტეტზე არსებულ საგამომცემლო საბჭოსთან დაკავშირებული საკითხი

საბჭოს თავჯდომარემ , პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე დღემდე მოქმედ საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობაში საჭიროა კორექტივის შეტანა, რადგან საბჭოს წარმომადგენლობაში ირიცხებიან აწ გარდაცვლილი პროფესორი შალვა აბზიანიძე და ფაკულტეტის შემადგენლობიდან გასული პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი გუგული მაღრაძე, რომელიც აღარ არის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი. შესაბამისად, პროფესორმა თ. გაგოშიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი პროფესორების გუგული მაღრაძისა და შალვა აბზიანიძის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს სიიდან ამოღებასთან დაკავშირებით. საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: დეკანი პროფ. თ. გაგოშიძე, პროფესორები: მ. წერეთელი, ქ.ჭკუასელი; ასოცირებული პროფესორები : ბ არუთინოვი, ი.პეტრიაშვილი, ი.კუტალაძე, გ.გოროშიძე, ე. ფირცხალავა, ხ.მარწყვიშვილი, მ.დეპოსტაშვილი;

ასისტენტ პროფესორები: ი. აფთარაშვილი, შ.მამუკაძე.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას.

მომხრე: 14

წინააღმდეგი:0

თავი შეიკავა: 6

4. ფაკულტეტზე დარგობრივი აკადემიური ეთიკური კომისიის შექმნასთან დაკავშირებით

საბჭოს თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა შემოვიდა დეკანის წინაშე ინიციატივით, შეიქმნას ფაკულტეტზე დარგობრივი აკადემიური ეთიკური კომისია, რომლის ფუნქციონირების საჭიროება განპირობებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალების მიერ გაგზავნილი ნაშრომებისადმი გარკვეული წინაპირობის წაყენებით, რომელიც გულისხმობს ადგილობრივ დონეზე ნაშრომების აკადემიურ ეთიკურ რეფერირებას. პროფესორმა თამარ გაგოშიძემ სთხოვა საბჭოს წევრებს იმუშაონ ამ მიმართულებით და უახლოეს პერიოდში გააცნონ საბჭოს ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგი.

აზრი გამოთქვეს :

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ქეთევან ჭკუასელი: ვფიქრობთ, განათლების მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენი დეპარტამენტიც აუცილებლად უნდა ჩაერთოს ამ კომისიის შექმნის ორგანიზებაში.

საბჭომ მოისმინა დეკანის, პროფესორ თამარ გაგოშიძის, მოხსენება და მიიღო ცნობად.

5. პროფესორ გიორგი გოროშიძის მიერ საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხები ა) თავისუფალი არჩევითი საგნების დეპარტამენტის საკურატოროდ ცნობის შესაძლებლობის შესახებ; ბ) 2 წლით არჩეული ინსტიტუტის ხელმძღვანელების როტაციის დროული განხორციელების შესახებ; გ) დარგებისთვის სპეციფიკური საკონკურსო კრიტერიუმების შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის საჭიროების შესახებ; დ) სააკრედიტაციოდ ახალი კურიკულუმის შედგენისთვის მუშაობის დაწყების შესახებ.

საბჭოს თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ასოცირებული პროფესორი გიორგი გოროშიძე შემოსულია საბჭოს წინაშე რამდენიმე საკითხით. რადგანაც საკითხთა შინაარსი არ მოითხოვს კენჭის ყრას და გათვლილია საბჭოს ინფორმირებაზე, ლოგიკურად მიიჩნევს ამ საკითხების ერთ მოხსენებად განხილვას.
პროფესორმა გიორგი გოროშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ა) თავისუფალი არჩევითი საგნების დეპარტამენტის საკურატოროდ ცნობის შესაძლებლობაზე ითხოვს მხარდაჭერას, რათა ინსტიტუტის ფარგლებში სადავო საკითხის აღმოცენების შეთხვევაში, აუცილებელია მისი განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება დეპარტამენტის დონეზე; ბ) აქვე გიორგი გოროშიძემ აღნიშნა, რომ ორი წლით არჩეული ინსტიტუტის ხელმძღვანელების როტაცია სასწრაფოდ არის დასაწყები, ვინაიდან ვადები უკვე გადაცილებულია და სამართლებრივი ფორმატის დასაბრუნებლად სთხოვა საბჭოს წევრებს სათანადო მზაობა; გ) რაც შეეხება სააკრედიტაციოდ ახალი კურიკულუმის შედგენაზე მუშაობის დაწყებას, საბჭო დადებითად გამოეხმაურა მომხსენებლის ინიციატივას, თუმცა აღნიშნულ იქნა, რომ მუშაობა დასაწყებია, ოღონდ საავტორიზაციოდ სილაბუსების დასრულებისა და თსუ ხელმძღვანელობისთვის მათი გადაცემის შემდეგ; დ) დარგებისთვის სპეციფიკური საკონკურსო კრიტერიუმების შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის საჭიროების საკითხი, საბჭოს რეკომენდაციით, გადავადდა შემდეგი სხდომისთვის.

საბჭომ მოისმინა ასოცირებულ პროფესორ გიორგი გოროშიძის, მოხსენება და მიიღო ცნობად.

დაადგინეს:

1. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის კვოტები და გამსვლელი ქულები შემდეგი ფორმატით:

<u>კონტინგენტი</u> - მათემატიკა - 50, ისტორია -15, ლიტერატურა - 20, ბიოლოგია - 40.
<u>კოეფიციენტები</u> - ზოგადი უნარები - 4, ქართული ენა და ლიტერატურა - 3, უცხო ენა - 3, მათემატიკა - 2, ისტორია - 2, ლიტერატურა - 2, ბიოლოგია - 2
<u>მე-4 არჩევითი საგნების პრიორიტეტები</u> - ბიოლოგია, მათემატიკა, ლიტერატურა, ისტორია
<u>მინიმალური კომპეტენციის ზღვარი</u> - ქართული ენა-ლიტ. - 40%+1, ზოგადი უნარები - 40%+1, უცხოური ენა - 40%+1, მათემატიკა - 30%+1, ისტორია - 40%+1, ლიტერატურა - 40%+1, ბიოლოგია - 30%+1

2. დაწყებითი განათლებისა და მულტილინგვური განათლების საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის კვოტები და გამსვლელი ქულები შემდეგი ფორმატით:

<u>კონტინგენტი</u> - მათემატიკა - 5, ისტორია -5, ლიტერატურა - 10, ბიოლოგია - 5.

ოეფიციენტები - ზოგადი უნარები - 4, ქართული ენა და ლიტერატურა - 3, უცხო ენა - 3, მათემატიკა - 2, ისტორია - 2, ლიტერატურა - 2, ბიოლოგია - 2
მე-4 არჩევითი საგნების პრიორიტეტები - ლიტერატურა, მათემატიკა, ბიოლოგია, ისტორია
მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - ქართული ენა-ლიტ. - 40%+1, ზოგადი უნარები - 40%+1, უცხოური ენა - 35%+1, მათემატიკა - 30%+1, ისტორია - 40%+1, ლიტერატურა - 40%+1, ბიოლოგია - 30%+1 .

3. განისაზღვროს დოქტორანტ, ერეკლე მაღლაკელიძის (პ/ნ 01008056065), სამეცნიერო ხელმძღვანელად და პირობითი/სავარაუდო სადისერტაციო თემის სათაურად - "მოქალაქეობის ცნების გაგების ფსიქოლოგიური ასპექტები." სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნანა სუმბაძე

4. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს სიიდან ამოღებულ იქნენ პროფესორები - გუგული მაღრაძე და შალვა აბზიანიძე და საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: დეკანი პროფ. თ. გაგოშიძე, პროფესორები: მ. წერეთელი, ქ.ჭკუასელი;
ასოცირებული პროფესორები : ბ არუთინოვი, ი.პეტრიაშვილი, ი.კუტალაძე, გ.გოროშიძე, ე. ფირცხალავა, ხ.მარწყვიშვილი, მ.დეპოსტაშვილი;
ასისტენტ პროფესორები: ი. აფთარაშვილი, შ.მამუკაძე.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი

თამარ გაგოშიძე

/ /

სხდომის მდივანი: ასოცირებული

პროფესორი

ზაქარია ქიტიაშვილი

/ /

17.11. 2016